სამოქალაქო ბიუჯეტი
საქართველოში

# მუნიციპალიტეტების სამოქალაქო ბიუჯეტის გზამკვლევი

რა არის სამოქალაქო ბიუჯეტი 2 გვ.

რისთვის გვინდა სამოქალაქო ბიუჯეტი ? 4 გვ.

პროცესის ეტაპობრივი აღწერა 6 გვ.

დანართი - მაგალითები 24 გვ.

დამატებითი ინფორმაციისთვის სასარგებლო ბმულები 24 გვ.

სად ვეძებოთ დახმარება 40 გვ.


# შესავალი

ეს ბროშურა შეიქმნა სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის მომზადების და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ეს მექანიზმი პირდაპირი დემოკრატიის ერთ–ერთი ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნ–ველყოფს სამოქალაქო მონაწილეობის უმაღლეს დონეს. იგი ეფუძვნება საქართველოში ფუნქციონირების ორწლიან გამოცდილებას.

2015 წელს, მარნეულის მუნიციპალიტეტის, ა(ა)იპ „ერთიანი კავკასია–ს“ და პოლონური „ფონდი სხვა სივრცე–ს“ თანამშრომლობით პირველად განხორციელდა თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირე–ბის პროცესში საზოგადოების ჩართვა. 2016 წელს სამოქალაქო ბიუჯეტის პრაქტიკას შეუერთდა ქ.გორი და 2017 წელს – საჩხერეს და ბორჯომის მუნიციპალიტეტები.

ამ ინსტრუმენტის დიდი პოტენციალიდან და დადებითი ეფექტიდან გამომდინარე, გვინდა გაგიზიაროდ ჩვენი გამოცდილება და გავააქტიუროდ სხვა მუნიციპალიტეტები ამ ინსტრუმენტის დასანერგად. ვიმედოვნებთ, რომ ეს გზამკვლევი დაგეხმარებათ ამაში.



# რა არის სამოქალაქო ბიუჯეტი?

დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია – საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის ან ქალაქის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. ამის საშუალებას იძლევა სამოქალაქო (მონაწილეობითი ან პარტიციპატური) ბიუჯეტი.

იგი 1989 წელს ბრაზილიის ქალაქ პორტო ალეგრეში დაიბადა და რამდენიმე წელია ინტენსიურად ვითარდება პოლონეთში და ბოლო ორი წლის განმავლობაში დაინერგა უკრაინაში საქართველოსა და მოლდოვაში.

არსებობს სხვადასხვა მოდელები, მაგრამ ზოგადად ამ მექანიზმის მთავარი მიზანია მუნიციპალიტეტის მართვის პროცესში მოსახლეობის ჩართვა და საზოგადოების წევრების ფართო სპექტრის დისკუსიებში «ექსპერტების პოზიციიდან“ მონაწილეობა საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით პრიორიტეტების დასადგენად.

პრაქტიკულად,ეს არის მოსახლეობასთან ერთად ქალაქის,მუნიციპალიტეტის,რეგიონის (სკოლა, კულტურის ცენტრი და ა.შ.) ბიუჯეტის განაწილება, ან და როგორც პორტუგალიაში – მთელი ქვეყნის.

ეს არის გრძელვადიანი და მუდმივი პროცესი, სადაც საზოგადოება განსაზღვრავს ფულის ხარჯვას, პრიორიტეტებს, პრობლემებს და პრობლემის მოსაგვარებლად – წინადადებას – პროექტს.

სარეალიზაციოდ პროექტებს ირჩევს ადგილობრივი მოსახლეობა და ახორციელდებს თვითმმართველობა.

სამოქალაქო ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული პრინციპები შემუშავებული ადგილობრივი თემების მონაწილეობით. მისი ძირითადი ფუნქციაა ხელისუფლებისა და მოსახლეობის საჯარო შეხვედრები და დისკუსიები ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებსა და საჭიროებებზე. ეს პროცესი უნდა იყოს ციკლური და გრძელვადიანი პერსპექტივისთვის არის განკუთვნილი და მისი შედეგები სავალდებულოა ხელისუფლებისთვის.

საქართველოში და სხვა ქვეყნებში დაკვირვება, მოსახლეობის და ადგილობრივი ხელისუფლების სამოქალაქო ბიუჯეტში ჩართვის პროცესში, და პროცესის განვითარების ინტენსივობამ, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ეს პროცესი სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და მაღალი დონეა.

# რისთვის გვინდა სამოქალაქო ბიუჯეტი?

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი მოითხოვს რესურსებსა და დროს, თქვენს მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვა მნიშვნელოვან შედეგებს მოგგიტანთ. ეს დადასტურებულია

პრაქტიკაში და სხვადასხვა კვლევებით.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უკეთესი და ეფექტური მართვის საშუალებას იძლევა.

ეს არის ქმედებების ოპტიმიზაცია, პრიორიტეტების საუკეთესო განსაზღვრა და დროის და ფულის დაზოგვა;

საჯარო კონსულტაციები არის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის და მათზე პასუხების გახემის უფრო ეფექტური გზა.

კარგად ჩატარებული საინფორმაციო კამპანია, ეს შეიძლება იყოს ხელისუფლების ქმედებების რეკლამა. პროცესის მიმდინარეობისას, ხშირია მოსახლეობის მიერ მოწოდებული ახალი, ინოვაციური გადაწყვეტილებები;

**სამოქალაქო ბიუჯეტი ასევე:**

- გავლენას ახდენს ხელისუფლების ქმედებებზე ნდობის და კმაყოფილების გაზრდაზე;
- არის ეფექტური საშუალება მოსახლეობის გააქტიურების, გულგრილობის და პასიურობის დაძლევაში;
- ხელს უწყობს დიალოგს - არა მხოლოდ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, არამედ თავად საზოგადოებაში;



## საქართველოს მუნიციპალიტეტების სამოქალაქო ბიუჯეტის პრაქტიკოსები:

**ლევან ბიწაძე – საჩხერე**

სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას გაითავისონ საკუთარი როლი და მნიშვნელობა თვითმმართველობის მართვის პროცესში.

**იაგო წიკლაური – გორი**

პროცესი ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას. მნიშვნელოვანია ის რომ მოსახლეობა თანდათან ერკვევა პროექტირების დეტალებში და ოპონირების სანაცვლოდ გვეხმარებიან და მხარს გვიჭერენ პროექტების დროულ და ხარისხიან რეალიზაციაში.

- აქვს უზარმაზარი საგანმანათლებლო ღირებულება, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას გააცნობიეროს ადგილობრივი მთავრობების ფუნქციონირების პრინციპები და მათი ფინანსები. მოსახლეობა ხედავს არა მხოლოდ შესაძლებლობებს, არამედ საჯარო ხარჯების შეზღუდვებსაც;
- ასწავლის მოსახლეობას პასუხისმგებლობას გარემოზე;
- თანაბრად ხელმისაწვდომია სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ჯგუფებისთვის - რაც ახდენს სოციალური კონფლიქტების პრევენციას;

# პროცესის ეტაპობრივი აღწერა




სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს ძირითად პრინციპებს, როგორიცაა მოსახლეობის უფლება წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები და უზრუნველყოს მათი გადაწყვეტილებების და პროცედურების გამჭვირვალობა, დისკუსიების სივრცის უზრუნველყოფა და პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ხელშეწყობა.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული მიზნებისა და პრინციპების განხორციელება შეიძლება სხვადასხვა გზით მოხდეს - სხვადასხვა მუნიციპალიტეტში იმ პროექტების განხორციელების პროცესები განსხვავდება. მათი განხილვა ან შერჩევა, პროცესი შეიძლება განხორციელდეს მთელ მუნიციპალიტეტში, ან მის კონკრეტულ ნაწილში, დასახლებებში. პროცედურის საბოლოო ლოკალურ ფორმაზე გადაწყვეტილებები უნდა იყოს ადაპტირებული საზოგადოების სპეციფიკის გათვალისწინებით - მაგალითად, მუნიციპალიტეტის სიდიდე, მოსახლეობის მრავალფეროვნება ან იდენტიფიცირების ძალა მცირე თემების დონეზე.

## ძირითადად, მას აქვს შემდეგი ეტაპები

- I პროცესის მომზადება
- II საინფორმაციო კამპანია
- III მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და პრიორიტეტების გამოვლენა (გამოკითხვა ან მოსახლეობასთან შეხვედრები)
- IV პროექტების წარდგენა (სამოქმედო გეგმის შემუშავება გამოვლენილი პრობლემებისა და პრიორიტეტების დასადგენად)
- V ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ პროექტების შემოწმება
- VI პროექტების შერჩევა განხორციელებამდე
- VII პროექტების ასახვა თვითმმართველობის ბიუჯეტში
- VIII განხორციელება და მონიტორინგი

## 1) პროცესის მომზადება / ხანგრძლივობა - დაახლ. 1 თვე

- „სბ“ ჩატარების გადაწყვეტილების მიღება
- „სბ“პროცესის მოდელით შემდგომი სამუშაო რეჟიმის დაგეგმვა
- გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება
- საინფორმაციო კამპანიის მომზადება და მოსახლეობასთან შეხვედრები

## გადაწყვეტილება „სბ“- ს მიღებაზე

თუ თქვენ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის მომზადებას აპირებთ, პირველი ნაბიჯი არის ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილება.

მუნიციპალიტეტში ყურადღებით უნდა განიხილოს და გაიაზროს, რა არის ამ პროცესის განხორციელების მიზანი. ამის გაკეთება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის, არამედ აქტიური საზოგადოებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მრჩეველთა საბჭოში - მათ შეუძლიათ დახმარება გაუწიონ გადაწყვეტილების მიღებაში. შეიძლება დახმარება სთხოვოთ სხვა მუნიციპალიტეტების ამ პრაქტიკის მქონე ექსპერტებს.

/ კონტაქტების სია დანართშია /

„სბ“ თქვენი ვარიანტის შერჩევისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები, ადგილობრივი კონტექსტი და რეალობა.

### სამართლებრივი საფუძველი

**“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” კოდექსის 85-ე პრიმა მუხლის პირველი პუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის.**



## სახსრები - რა თანხა უნდა გამოიყოს

სამოქალაქო ბიუჯეტი არის მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვა მოსახლეობასთან ერთად. არსებობს სხვადასხვა მოდელი და მიდგომა, თუ საერთო თანხის რა ნაწილს უნდა შეეხოს - გამოყოს მთლიანი ბიუჯეტიდან თანხის ნაწილი, ან გამოიყენოს ბიუჯეტის მთლიანი თავისუფალი ფული, რაც, პრაქტიკულად, მთლიანი ბიუჯეტის და პრიორიტეტების დოკუმენტის დაგეგმვას ნიშნავს.

### საქართველოში ასეთი პრაქტიკაა:

**მარნეულსა და გორში, „სბ“-მა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 5%–ია**

**საჩხერეში - 1%**
**(3 თემისთვის - ადმინისტრაციული ერთეულები),**

**ბორჯომში - მთელი საინვესტიციო ბიუჯეტი**

**პროექტებისთვის დამატებითი დაფინანსების მიღება შესაძლებელია ცენტრალური ადმინისტრაციიდან ან სხვა ფონდებიდან.**

## „სბ“პროცესის მოდელით შემდგომი სამუშაო რეჟიმის დაგეგმვა

ინფორმაცია „სბ“-ს შემოღების გადაწყვეტილების მიღების შესახებ შემდეგ, საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა იყოს. ამ მომენტიდან, მზადდება მთელი პროცესი. მათ შორის:

**1. მუნიციპალიტეტში პასუხისმგებელი გუნდის და კოორდინატორის შერჩევა**

ძალიან მნიშვნელოვანია რომ მუნიციპალიტეტში მთლიან პროცესზე იყოს ერთი პასუხისმგებელი პირი – კოორდინატორი. ვინაიდან ამ პროცესში ჩართული იქნება იურიდიული, ინფრასტრუქტურის, ფინანსური და სხვა სამსახურები – საჭიროა ამ სტრუქტურების წარმომადგენლების ჩართვა და მომზადება.

**2. რეგულაციების შემუშავება**

გირჩევთ საბჭოს ან სამუშაო ჯგუფის დანიშვნას, რომელიც შეიმუშავებს „სბ“ წესებს. აუცილებელია მოიწვიოს სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები, მათ შორის საკრებულოს წარმომადგენლები და მოსახლეობა. ასეთი საბჭოს მუშაობა უნდა იყოს გამჭვირვალე (მაგ. ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შეხვედრებში, შეხვედრის ოქმი უნდა იყოს საჯარო). შემუშავებული რეგულაციები საჭიროებენ საზოგადოებასთან კონსულტაციას.

რეგულაციების შემუშავებისას თქვენ უნდა დაადგინოთ:

- პროცესის ტერმინოლოგია და განრიგი
- რა თანხას გამოყობს თვითმმართველობა
- ტერიტორიის დაყოფა, მაგალითად – ზონებად ან სხვა
- გამოყოფლი თანხის თანაბარი განაწილება ზონებს შორის მოსახლეობის სულადობის გათვალისწინებით
- დაადგინოთ თუ ვის შეუძლია პროცესში მონაწილეობა, პროექტს წარუდგენა და შერჩევა
- რა სტრუქტურები უნდა შეიქმნას - მაგალითად, საბჭო ან სამუშაო ჯგუფი (პროცესის მსვლელობის შემოწმებისთვის) და მათი როლის და შემადგენლობის განსაზღვრა.
- როგორი პროექტების წარდგენა შეიძლება და რა თანხა შეიძლება გამოიყოს 1 მცირე, დიდ და ერთობლივ (სოფლებს შორის) პროექტს. კარგი იქნებოდა განისაზღვროს პროექტებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა და ვადები.
- განისაზღვროს სად, როგორ და ვინ ჩაიბარებს პროექტებს
- პროექტების მიღების და რეგისტრირების სისტემის შემუშავება
- განისაზღვროს პროექტების შემოწმების კრიტერიუმები
- განისაზღვროს პროექტების შერჩევის მეთოდები – კენჭისყრით ან კონსენსუსით
- დადგინდეს, ვინ უნდა დაესწროს და ვინ უნდა შეარჩიოს?
- განისაზღვროს პროექტების რეალიზაციის ვადები და მოსახლეობის ჩართულობით მონიტორინგის წესები.



**დანართში თქვენ იხილავთ რეგულაციისა და პროგრამების მაგალითებს. გახსოვდეთ იდეის ადაპტაციის თაობაზე ადგილობრივ პირობებთან (მაგალითად - სოფლების რაოდენობა, სოციალური საჭიროებები, ინფრასტრუქტურა)**

**3. ადგილობრივი კოორდინატორების შერჩევა**

დიდი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, კარგი პასუხისმგებელი პირების (კოორდინატორების) შერჩევა მოხდეს ადგილზე – ერთი კოორდინატორი თითო გამოყოფილი ზონის მიხედვით. მათ ეკისრებათ ხალხის ინფორმირება და პროცესში დახმარება.

პრაქტიკაში, მაგალითად, მარნეულში საზოგადოების აქტიური წევრებისგან შეარჩია მუნიციპალიტეტმა. გორში, კოორდინატორები შეირჩევიან საზოგადოების აქტიური წევრებისგან მოსახლეობის საერთო შეხვედრაზე. ისინი ახორციელებენ საზოგადოების კოორდინაციას, იმფორმირებას, მერის წარმომადგენელთან და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, სხვა აქტიურ წევრებთან ერთად განსაზღვრავენ (გონივრულ ფარგლებში, რაოდენობა არ არის შეზღუდული) „წარმომადგენლობითი საბჭოს,“ რომელშიც იქნება ყველა ტომის ერთი აქტიური წარმომადგენელი.

## შესაბამისი ორგანოს მიერ რეგლამენტის მიღება

როგორც წესი**,** ეს არის გამგებლის ბრძანება ან საკრებულოს განკარგულება**.**

## 2) საინფორმაციო აქცია და შეხვედრები მოსახლეობასთან / რამდენი დროა საჭირო - მთელი პროცესის განმავლობაში

პროცესის დაწყებამდე კარგია საინფორმაციო კამპანიისთვის საჭირო ყველა მასალის მომზადება.

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი. მასზე დამოკიდებულია თქვენი წარმატება და მოსახლეობის ჩართულობა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ კარგად მოამზადებულნი ხართ მაგრამ არავინ იცის ამის შესახებ, არაფერი გამოგივათ.

საინფორმაციო კამპანია უნდა დაიწყოს პროცესის დაწყებამდე და გრძელდებოდეს ყოველ ეტაპზე.

„სბ"- ში მნიშვნელოვანია მოსახლეობის ფართო მონაწილეობა, ამიტომ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმირების ყველა საშუალება და არხი.

- ადგილობრივი მედია
- საიტები და FB
- არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოებები
- ადგილობრივი ტრანსპორტი
- ადგილები, სადაც იკრიბებიან (ბიბლიოთეკები, მაღაზიები)
- სტენდები დღესასწაულზე ან სხვა ღონისძიებების დროს

### რა მასალები უნდა მომზადდეს?

- ინფორმაცია „სბ" და მიღებული რეგლამენტის შესახებ ინფორმაცია;
- ეტაპების და შეხვედრების ვადები;
- პრეზენტაცია მუნიციპალიტეტის შესახებ - რა არის თვითმმართველობა, მისი ფუნქციები და მოვალეობები რა არის ადგილობრივი ბიუჯეტი, რაში იხარჯება.
- პროექტის ფორმა (ბლანკი)
- პრეისკურანტი (რაც შეიძლება ბევრი მაგალითი)



რა მეთოდები უნდა გამოიყენოს: განცხადებები, ბუკლეტები, პლაკატები, შეხვედრები, რეკლამები მედიაში, SMS შეტყობინებები და ა.შ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასალა მარტივად, ყველასთვის გასაგებად იყოს მიწოდებული.

მასალები უნდა მიეწოდოს მოსახლეობის მაქსიმალურ რაოდენობას, ასევე სხვადასხვა სოციალურ და ასაკობრივ კატეგორიებს

ინფორმაციის მომზადებისას უნდა გაითვალისწინოს რეგიონის მახასიათებლები (მაგალითად, ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ენა და ა.შ.).

## 3) მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და პრიორიტეტების განსაზღვრა საჭირო დრო - დაახლოებით 2 კვირა

ეს ეტაპი საჭიროა, რათა გაირკვეს მოსახლეობის ზოგადი მოსაზრებები და ყველაზე პრიორიტეტული პრობლემები, ასევე პროექტების მომზადებისთვის. პროექტებში ამ პრიორიტეტების ფარგლებში შეუძლიათ უფრო დაწვრილებით დაწერონ იმაზე თუ რა სჭირდებათ.

მოსახლეობას ასევე შეუძლია გაიგოს სხვების მოსაზრებები, ეს შეიძლება გაკეთდეს კვლევის სახით ან მოსახლეობასთან შეხვედრაზე.

### თუ ეს კვლევა – უნდა ჩატარდეს

- ყველა სოფელში / ქალაქში
- სასურველია დამოუკიდებელი მკვლევარები
- რესპონდენტების რაოდენობა უნდა იყოს ოჯახების რაოდენობის არანაკლებ 5%
- შედეგები უნდა იყოს საჯარო ხელმისაწვდომი და მომზადებული პრეზენტაციის სახით

კვლევის შედეგების, პროექტების წარდგენის და განხორციელების ჩვენება შეგიძლიათ ელექტრონული სისტემის www.gfa.ge დახმარებით.

## თუ მოსახლეობასთან შეხვედრა – უნდა ჩატარდეს

- თითოეულ ზონის ყველა სოფელში / ქალაქში
- მუნიციპალიტეტის მოდერატორის მიერ
- კარგად მომზადებული საინფორმაციო კამპანია და წინასწარ მოწვეული მოსახლეობა
- შედეგები უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი

### ვინ მონაწილეობს

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი
- ფინანსური სამსახური
- კოორდინატორი
- ადგილობრივი კოორდინატორი

## რა მასალები უნდა მომზადდეს?

- „სბ"და რეგულაციების შესახებ ინფორმაცია
- ეტაპების და შეხვედრების ვადები
- პრეზენტაცია მუნიციპალიტეტის შესახებ - რა არის თვითმმართველობა, მისი ფუნქციები და მოვალეობები რა არის ადგილობრივი ბიუჯეტი, რაში იხარჯება.
- პროექტის ფორმა (ბლანკი)



## 4) პროექტების წარდგენა / საჭირო დრო - დაახლოებით 1 თვე

- პროექტების წარდგენა - პრინციპები
- რა პროექტებს ვიბარებთ
- როგორ მივიღოთ პროექტები
- პროექტების მიღების შემდეგ...

## პროექტების წარდგენა - პრინციპები

მოსახლეობის მიერ პროექტების წარდგენა წარმოადგენს პირველ ეტაპზე გამოვლენილი პრობლემებისა და პრიორიტეტების მოგვარების სამოქმედო გეგმების შემუშავებას. თუმცა შესაძლებელია სხვა მნიშვნელოვანი იდეების შემუშავება. მნიშვნელოვანია მოსახლეობის მიერ პროექტების მომზადებისას მხარდაჭერის ორგანიზება. ამისათვის კარგი იქნება რომ თითოეულ ზონაში მინიმუმ ერთი შეხვედრა ჩატარდეს, სადაც იქნება თანამდებობის პირები, რომლებიც დაეხმარებიან მოსახლეობას. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის პრიორიტეტულ პარამეტრს აირჩევთ. თუ კვლევას – დაგჭირდათ ორი შეხვედრა. ქვემოთ მოცემულია სცენარის ნიმუში:

**ეტაპი I**

- თითოეულ ზონაში მოსახლეობასთან შეხვედრა
- კვლევის შედეგების პრეზენტაცია და მათი განხილვა
- სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ახსნა
- ახსნა, თუ როგორ უნდა შეადგინონ და წარადგინონ პროექტი
- მოსახლეობის იდეებთან დაკავშირებული პირველი კონსულტაცია

**ეტაპი II**

პროექტების დეტალური შემუშავება - თემის ერთი წარმომადგენლის ან საინიციატივო ჯგუფის მიერ. მუნიციპალიტეტი ეხმარება კონსულტაციების სახით.

თუ მოსახლეობა მოწვეულია პრიორიტეტების დასადგენად საკმარისია მხოლოდ მეორე ეტაპი.

გარდა ამისა, კონსულტაციები ჩატარება შესაძლოა საინფორმაციო საშუალებებით და ტელეფონებით,

ან ადგილობრივი კოორდინატორის დახმარებით.

გამოგადგებად სპეციალური მასალებიც. აღწერეთ მუნიციპა-ლიტეტის კომპეტენცია ისე, რომ მოსახლეობამ იცოდეს, რომელ სფეროში შეიძლება პროექტების წარდგენა. მარნეულში შეიმუშავეს სპეციალური ფასების ჩამონათვალი (რა ღირს გზის საფარის კვ.მ., სპორტული მოედანი და ა.შ.)

## რა პროექტები შეიძლება იქნას მიღებული

რეგლამენტში აუცილებელია, რათა დადგინდეს, რომელი პრო-ექტები შეიძლება წარმოადგინოს მოსახლეობამ. პრინციპში, ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი, რაც მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებშია. მაგრამ თუ თქვენ დაინტერესებული ხართ რაღაც სფეროთი - მაგალითად ინფრასტრუქტურა - შეგიძლიათ შეადგი-ნოთ ინფრასტრუქტურული პროექტები.

## ასევე მნიშვნელოვანია განსაზღვროს (მაგალითად)

- ფინანსური შეზღუდვები - მაგალითად, გორის პროექტების ღირებულება ვერ აღემატება ზონისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობას.
- მცირე პროექტებისთვის მარნეულში გამოიყო 10 ათასი ლარი
- პროექტის განხორციელების დროის განსაზღვრა - პოლონეთში, ხშირად, მუნიციპალიტეტები ითხოვენ, რომ პროექტები ერთი წლის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს.

## როგორ მივიღოთ პროექტები

პროექტები უნდა იყოს წარმოდგენილი სპეციალურ ბლანკზე რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია ან - მიუხედავად მისა, რომ ჯერ კიდევ სარგებლობს მცირე პოპულარობით - ელექტრო-ნული ფორმით (მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე) დანართში იხი-ლავთ განაცხადის ფორმის მაგალითს

თითოეულ პროექტს უნდა ჰქონდეს ადგილობრივი მოსახლეო-ბის გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერი, მათი გვარების ასე-ვე ხელმოწერების შეგროვებას ახორციელებს პროექტის ავტორი. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, საჭიროა თუ არა ხელმოწერების შემოწმება



მომზადებული პროექტების შეიძლება ჩაიბაროს ადგილობ-რივმა კოორდინატორმა და შემდეგ გადასცეს მუნიციპალიტეტში. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ პროექტს ჰქონდეს საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომერი და საბოლოოდ შედგენილი პროექტე-ბის საერთო სია. ყველა უნდა იყოს დასკანირებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი - მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ან სპეციალურ სისტემაში

## პროექტების მიღების შემდეგ

- აუცილებელია ყველა პროექტების სია იმ პრიორიტეტების მი-ხედვით, რომლებიც გამოვლინდა (გამოკითხვაში). შეგიძლიათ გამოიყენოთ ელექტრონული სისტემა www.gfa.ge
- ინფორმაცია სიის შესახებ უნდა მიეწოდოს მოსახლეობას – ვებ გვერდზე, გადაეცეს სოფლებში, მედიაში და ა.შ.

### ვინ მონაწილეობს

- **მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი**
- **კოორდინატორი**
- **ადგილობრივი კოორდინატორი**
- **რა მასალები უნდა მომზადდეს?**
- **პროექტის ფორმა (ბლანკი)**
- **მუნიციპალიტეტის კომპეტენციის აღ-წერა**
- **პრეისკურანტი (ფასები მაგალითები)**



## რა მასალები უნდა მომზადდეს?

- პროექტის ფორმა (ბლანკი)
- მუნიციპალიტეტის კომპეტენციის აღწერა
- პრეისკურანტი (ფასები მაგალითები)

## 5) ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ პროექტების შემოწმება / საჭირო დრო - მინიმუმ 1 თვე

ყველა პროექტი განხორციელებამდე უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ. მაგალითად, გორში, ამ მიზნით, არის «სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო» და საჩხერეში, ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილია საკრებულოს წევრი და განიხილავენ „სბ“ პროექტებს.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი რომლისთვის უნდა დაგეგმოთ საკმარისი დრო. ეს საშუალებას მოგცემთ თავიდან აიცილოთ სიტუაციებში, როდესაც პროექტი მიღებულია მაგრამ რეალურად არსებობს პრობლემები მის განხორციელებაში.

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ უნდა იყოს შეფასება, უნდა გადამოწმდეს პროექტების ფორმალური ასპექტები:

- იურიდიული (მაგალითად, ვის ეკუთვნის მიწის ნაკვეთი და ა.შ.)
- ტექნიკური (მაგალითად, ტექნიკის, შენობის მდგომარეობა და ა.შ.)
- თვითმმართველობის კომპეტენცია და ამოცანები
- რამდენი ხნის განმავლობაში განახორციელდება (წელიწადში ან ეტაპობრივად)
- ღირებულება აღემატება თუ არა მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს

გადამოწმებისათვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ შევსებული ფორმა (იხილეთ დანართში)

თუ გაჩნდა კითხვები, მუნიციპალიტეტი კონსულტაციებისთვის იწვევს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, რომ განახორციელონ ცვლილებები. ყველა ცვლილება უნდა მოხდეს ავტორის თანხმობით. თუ პროექტის განხორციელება შეუძლებელია, მკაფიოდ უნდა იყოს განმარტებული მიზეზები და ინფორმაცია ავტორს გადაეგზავნოს.



### შემოწმების წემდეგ

- აუცილებელია ყველა პროექტების სია იმ პრიორიტეტების მიხედვით, რომლებიც გამოვლინდა (გამოკითხვაში). შეგიძლიათ გამოიყენოთ ელექტრონული სისტემა www.gfa.ge
- ინფორმაცია სიის შესახებ უნდა მიეწოდოს მოსახლეობას
- შეიძლება ავტორებთან შეხვედრაც

### ვინ მონაწილეობს

- ვინ მონაწილეობს
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი
- კოორდინატორი
- ადგილობრივი კოორდინატორი

### ვინ მონაწილეობს

- ფინანსური, ინფრასტრუქტურის, იურიდიული სამსახურები
- რა მასალები უნდა მომზადდეს?
- პროექტის ფორმა (ბლანკი)
- პროექტების სია
- სკანირებული პროექტები

## 6) პროექტების შერჩევა განხორციელებამდე /საჭირო დრო - დაახლოებით 1 კვირა

პროექტების არჩევანი უნდა მოხდეს მოსახლეობის მიერ - ეს არის სამოქალაქო ბიუჯეტის არსი.

საქართველოში არსებობს კონსენსუსის შერჩევის პრაქტიკა. კენჭისყრა მხოლოდ კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღების პრობლემების შემთხვევაში ხდება. პროექტები შეირჩევა სპეციალურ შეხვედრაზე, სადაც წარმოდგენილნი არიან პროექტების ავტორები, თითოეული სოფლის / ქალაქის წარმომადგენელი და ადგილობრივი კოორდინატორი. პროექტების შერჩევა ხდება პროექტების პრიორიტეტების, ღირებულების და ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მიხედვით. ასეთი შეხვედრა ცალ-ცალკე გაიმართება თითოეული ზონაში. გორში, პროექტების შერჩევის მიზნით, შეიქმნა «წარმომადგენლობითი საბჭო», რომელშიც წარმოდგენილია თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის, თითოეული დასახლებული პუნქტის აქტიური წევრი.

თუმცა არსებობს საჩხერის მაგალითი, სადაც მიიღეს კენჭისყრის მეთოდი. სამოქალაქო საბჭო, რომელიც შედგება 5 წევრისგან: 4 გამოყოფილი ერთეულის წარმომადგენელი და მრჩეველთა საბჭოს 1 წევრით. კენჭისყრით ხდება ყველაზე მაღალი პრიორიტეტული პროექტების დამტკიცება.

სპეციალური ვარიანტი, რომელიც რეკომენდირებულია – ბორჯომის მეთოდია. სამოქალაქო ბიუჯეტი განიხილება მთელი ბიუჯეტისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბების პროცესად. ყველა წარმოდგენილი პროექტი, რომელიც ვერიფიცირებულია შეტანილია ბიუჯეტში ან პრიორიტეტების დოკუმენტ–ში და შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად.



შერჩევის შემდეგ გამოცხადდება სარეალიზაციო პროექტები

- მუნიციპალიტეტი წარუდგენს დამტკიცებული პროექტების ჩამონათვალს მოსახლეობასთან შეხვედრებისას ან ვებ-გვერდებზე, განცხადებებით და ა.შ.
- ყველა პროექტი საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს, გამოიყენება სპეციალური ელექტრონული სისტემა, ყველა პროექტს და განხორციელების ეტაპებებს ასევე იხილავთ რუკაზე www.gfa.ge

### ვინ მონაწილეობს

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი
- კოორდინატორი
- ადგილობრივი კოორდინატორები
- რა მასალები უნდა მომზადდეს?
- პროექტების სია

**ვინ მონაწილეობს**

- **მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი**
- **კოორდინატორი**
- **ადგილობრივი კოორდინატორები**

### რა მასალები უნდა მომზადდეს?

პროექტების სია

## 7) პროექტების გადატანა ბიუჯეტში

გორის კარგი პრაქტიკაა – ბიუჯეტში „სბ“ პროექტების აღნიშვნა.

## 8) განხორციელება და მონიტორინგი

შეგიძლიათ გამოიყენოთ ელექტრონული სისტემა www.gfa.ge

# შეჯამება

| დაახლ. გრაფიკი | ზოგადი მოდელი | ბორჯომის მოდელი (პრიორიტეტების და მთლიანი ბიუჯეტის დაგეგმვა) | მარნეულის მოდელი (ნაწილობრივი დაფინანსება) |
|---|---|---|---|
| მარტი | პროცესის მომზადება | პროცესის მომზადება | პროცესის მომზადება |
| აპრილი | საინფორმაციო აქცია | საინფორმაციო აქცია | საინფორმაციო აქცია |
| აპრილი–მაისი | მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და პრიორიტეტების გამოვლენა | მოსახლეობის გამოკითხვა და პრიორიტეტების განსაზღვრა.<br>შედეგების ელექტრონულ პროგრამაში შეტანა* | შეხვედრა მოსახლეობასთან - პრიორიტეტების განსაზღვრა. |
| მაისი–ივნისი | პროექტების წარდგენა | 1. შეხვედრა მოსახლეობასთან<br>- კვლევის შედეგების პრეზენტაცია, განხილვა და სამუშაო ჯგუფების შერჩევა პროექტის განვითარებისთვის<br>2. სამუშაო ჯგუფების მიერ პროექტების დეტალური განხილვა. კონსულტაციები. პროექტების წარდგენა<br>შედეგების ელექტრონულ პროგრამაში შეტანა* | შეხვედრა მოსახლეობასთან<br>კონსულტაციები და მხარდაჭერა პროექტების მომზადებაში.<br>პროექტების წარდგენა<br>შედეგების ელექტრონულ პროგრამაში შეტანა* |
| ივლისი–აგვისტო | ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ პროექტების შემოწმება | პროექტების გაუმჯობესება. ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ ავტორთა მონაწილეობით.<br>შედეგების ელექტრონულ პროგრამაში შეტანა* | ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ პროექტების შემოწმება<br>შედეგების ელექტრონულ პროგრამაში შეტანა* |
| სექტემბერი | პროექტების შერჩევა განხორციელებამდე | | პროექტების შერჩევა განხორციელებამდე კონსენსუსით ან კენჭისყრით |
| 15 ნოემბრამდე | პროექტების ბიუჯეტში შეტანა | პროექტების ბიუჯეტში შეტანა | პროექტების ბიუჯეტში შეტანა |
| მომავალ წელს | რეალიზება, მონიტორინგი | რეალიზება, მონიტორინგი<br>შედეგების ელექტრონულ პროგრამაში შეტანა* | რეალიზება, მონიტორინგი შედეგების ელექტრონულ პროგრამაში შეტანა* |

# დანართი I

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტი“–ს ფორმირების წესი**

„ადგილობრივი თვითმმართველოსბის კოდექსი“-ს 85-ე პრიმა მუხლის პირველი პუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე ქვეპუნქტის შესაბამისად:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები (ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, ან კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.), ანუ მათ თავად შეუძლიათ მიიღონ მონაწილაობა მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და თვალყური ადევნონ მის განვითარებას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 11 ადმინისტრაციული ერთეული დაჯგუფებულია და წარმოდგენილია 6 ზონად:

**I ზონა– ბორჯომი ლიკანი;**

**II ზონა– დაბა ბაკურიანი : ციხისჯვარი,ანდეზიტი,ბაკურიანი,დიდი მიტარბი,პატარა მიტარბი,თორი;**

**III ზონა – დაბა ახალდაბა: ყვიბისი,ახალდაბა,კორტანეთი,ვარდგინეთი, ბეშეთი, ზანავი,რველი.**

**IV ზონა – დაბა წაღვერი:**

**პატარა ცემი, ტბა, ცემი, წაღვერი, სადგერი, ტიმოთესუბანი, ლიბანი, მზეთამზე, წინუბანი,მაჭარწყალი.**

**V ზონა – ტაბაწყური: ტაბაწყური, ბალანთა, მოლითი, ჭიხარულა.**

**VI ზონა – დვირი: ჩითახევი, ქვაბისხევი, დვირი, ჭობისხევი, ტაძრისი, საკირე, დგვარი.**

- მომდევნო წლისათვის მუნიციპალიტეტის ყველა, ექვსივე ზონისათვის „სამოქალაქო ბიუჯეტი“–ს პროექტების ღირებულება განისაზღვრება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში. ბიუჯეტის საბოლოო ფორმირების ეტაპზე წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია საპროექტო ინიციატივებმა განიცადოს კორექტირება (ავტორთან შეთანხმებით), მისი ტექნიკური, იურიდიული და ფინანსური ხასიათიდან გამომდინარე;

- მოქალაქეთა კოორდინაციისა და ინფორმირებულობისათვის, პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის კოორდინატორი და ასევე ადგილობრივი კოორდინატორები. ისინი ვალდებულნი არიან მუდმივ კონტაქტში იყვნენ მუნიციპალიტეტის კოორდინატორთან და მასთან ურთიერთშეთანხმებით იმოქმედონ.

- ადგილობრივი კოორდინატორები ირჩევიან ადგილობრივი მოსახლეობიდან და ასევე სამუშაო ჯგუფებიდან. მათი დანიშნულებაა მოსახლეობასთან მუშაობის კოორდინაცია,





მოსახლეობის ინფორმირებულობა და მუნიციპალიტეტის საკონტაქტო პირებთან დაკავშირება პროექტის ფარგლებში.

- საპროექტო ინიციატივების შემუშავებისათვის შეიქმნება მოსახლეობისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფები. ისინი გამოვლენილი პრიორიტეტებიდან ჩამოაყალიბებენ პროექტებს, რომლებსაც შეათანხმებენ ასევე თავის თემში / რაიონში, გადაწყვეტენ ერთობლივად რომელი პროექტი განახორციელოს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა შემდეგში.

- თავის მხრივ მუნიციპალიტეტში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი საპროექტო ინიციატივების შესამოწმებლად / დასაკორექტირებლად. პროექტიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფი თანამშრომლობს მოსახლეობის სამუშაო ჯგუფთან.

- კოორდინატორები ბორჯომის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ურთიერთკოორდინაციით, განახორციელებს სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საქმიანობას.

- „სამოქალაქო ბიუჯეტი“–ს პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქმედუნარიან 18 წლის ასაკს მიღწეულ სრულწლოვან მოქალაქეს;

- მოქალაქეს შეუძლია წარმოადგინოს ისეთი საპროექტო ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც შედის ბორჯომის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის კომპეტენციაში და ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალური სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით, რომლიც უნდა გამოიგზავნოს მუნიციპალიტეტის ელ–ფოსტის მისამართზე borjomimunicipality@gmail.com, ან შემოტანილ იქნას ადმინისტრაციის შენობაში, კანცელარიაში. სააპლიკაციო ფორმები ხელმისაწვდომი იქნება ლოკალურ კოორდინატორებთან, ბორჯომის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალიტეტის კანცელარიაში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე http://borjomi.org.ge/

- პროექტების წარმოდგენის ვადა განსაზღვრულია : **მიმდინარე წლის 31 ივლისის ჩათვლით;**

### სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის წარმოების წესი:

**I ეტაპი. მოსახლეობის გამოკითხვა 20 ივნისი - 10 ივლისი**

გამოკითხვა ჩატარდება ყველა სოფელსა და ქალაქში. გამოკითხვას ჩაატარებენ დამოუკიდებელი ინტერვიუერები.გამოკითხული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის მთლიანი ოჯახების რაოდენობის 5 %. გამოკითხვის ბლანკის შევსება ასევე შესაძლებელია ელექტრონულად WWW.GFA.GE საიტზე.

**I I ეტაპი. შეხვედრები მოსახლეობასთან სამუშაო გუნდის არჩევა 10-20 ივლისი**

ყოველ გამოყოფილ ზონაში ჩატარდება 1 შეხვედრა ცენტრალურ სოფელში. შეხვედრის დროს შეიქმნება სამუშაო ჯგუფი მინიმუმ 2 ადამიანისაგან, ყველა სოფლიდან. შეხვედრაზე ისინი იმუშავებენ პრიორიტეტული პრობლემებისა და მომავალი პროექტების დეტალურ აღწერაზე.

**I I I ეტაპი. პროექტების დეტალური დამუშავება 21ივლისიდან 01 აგვისტომდე**

ჯგუფებს ექნებათ საშუალება დეტალურად აღწერონ თავიანთი პროექტები სპეციალური შეხვედრების დროს. მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა აირჩიოს 1 პროექტი.გამოკითხვის ჩატარების დროს გამოვლენილი პრიორიტეტებიდან გამომდინარე და ასევე დამატებით 3 პროექტი.

დასრულებულ პროექტებს მოსახლეობა მიაწვდის გამგებლის წარმოამდგენელს სოფელში, რომელიც ჩააბარებს ამმ პროექტს გამგეობის კანცელარიაში.

**IV ეტაპი. მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ პროექტების სრულყოფაში მოყვანა**
**1 აგვისტო-1 სექტემბერი**

მუნიციპალიტეტის კომპეტენტური სამსახურები ამოწმებენ( არ აფასებენ) და მოჰყავთ პროექტი სრულყოფაში. ეს იქნება მუშაობა ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა:სამართლებრივი ასპექტები; ტექნიკური ასპექტები;ფინანსური ასპექტები;თვითმმართველოსბი კომპეტენციები და მოვალეობები.

**V ეტაპი. შედეგების გამოცხადება -სექტემბერი**

მუნიციპალიტეტი წარმოადგენს საბოლოოდ მომზადებულ პროექტებს მოსახლეობასთან შეხვედრის დროს. ავრცელებს მას მასმედიის საშუალებით. ტვირთავს მზა პროექტებს მუნიციპალიტეტის საიტზე,ასევე პროექტები იტვირთება სპეციალურ ვებ-გვერდზე, სადაც შესაძლებელი იქნება იმის ნახვა თუ რეალიზაციის რომელ ეტაპზე იმყოფება აღნიშნული პროექტი.

**VI ეტაპი. პროექტების და გეგმების ასახვა 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში -ნოემბერი .**

**VII ეტაპი. რეალიზაცია და მონიტორინგი.**



# დანართი II

სამოქალაქო ბიუჯეტი
საქართველოში

დამტკიცებულია
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის
სათათბირო ორგანოს,
„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"–ს მიერ
2017 წლის ____ __________

## ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
## 2018 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების სამოქმედო გეგმა

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო
„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"

(შექმნილია: „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ"
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება #1-752, 2016 წლის 20 სექტემბერი)

ქალაქი გორი 2017 წ.

Solidarity Fund PL
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა
სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამის ფარგლებში
პროგრამა "დემოკრატიის ხელმწყობა"
პოლონეთის დახმარება

მე ვგეგმავ ჩემი ქალაქის ბიუჯეტს!

**არასამთავრობო ორგანიზაცია „სხვა სივრცე“ (პოლონეთი) და მისი პარტნიორები: მარნეულის მუნიციპალიტეტი, საქართველოს თვითმართველობის ეროვნული ასოციაცია, ა(ა)იპ „ერთიანი კავკასია“, ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის ქართული კომიტეტი / რეგიონალური უსაფრთხოების კავკასიის ინსტიტუტი ქალაქ ვარშავას მერიის სოციალური კომუნიკაციის ცენტრის პროგრამული მხარდაჭერით მიმდინარეობს სამოქალაქო ბიუჯეტის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოს მუნიციპალიტეტებში. 2016 წელს ქალაქი გორი ერთ-ერთი იყო იმ 11 მუნიციპალიტეტს შორის, სადაც დაიგეგმა ამ პროექტის დანერგვა კონკურსის გზით. მოხარულნი ვართ, რომ ქალაქი გორი, საქართველოს მასშტაბით აღმოჩნდა გამარჯვებული 11 მუნიციპალიტეტს შორის და როგორც ქალაქი, იგი პირველია, სადაც 2016 წელს დაიგეგმა და უკვე 2017 წელს განხორციელდა სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამული პროექტი.**

***

სამოქალაქო ბიუჯეტი – არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ქალაქის/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში. მოქალაქეთა ბიუჯეტის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ თუ რაში დაიხარჯება ქალაქის/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები. ასეთი მექანიზმი ფართოდ გამოყენებულია მსოფლიოში, მათ შორის პოლონეთის 150 ქალაქში. ამ მექანიზმის გამოყენება გვაძლევს შემდეგ ეფექტს:

* ინფორმაციის წყაროს მოპოვება და როგორც ამის შედეგი – საზოგადოების ლოკალური საჭიროებების გაუმჯობესებული გაგება;

* მუნიციპალიტეტის საქმიანობის ოპტიმიზაცია – პრიორიტეტების სისტემის გაუმჯობესობა, საზოგადოების მიერ მოწოდებული წინადადებების განხილვა/მიღება, დროის და ფინანსების ეკონომია (უკმაყოფილების გარეშე);

* საზოგადოებას და ადგილობრივი ხელისუფლებას შორის კონფლიქტების პრევენცია;

* ადგილობრივი ხელისუფლების მიმრთ საზოგადოების ნდობის გაზრდა;

* ადგილობრივი ხელისუფლების ლეგიტიმაციის გაზრდა;

* ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის მიმართ მოქალაქეების კმაყოფილების გაზრდა;

* საზოგადოებრივი განათლება – ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დემოკრატიული ჩართულობის მექანიზმების ფორმირება, მოქალაქეების გააქტიურება და საზოგადოების და ადგილობრივი ხელისუფლების საერთო პასუხისმგებლობის ფორმირება.

**ქ. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია და შესაბამისად თითოეული მაცხოვრებელის აქტიურობა და ინიციატივა ქალაქ გორის განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს.**

**იმისათვის, რომ ქალაქ გორში დაინერგოს აღნიშნული სიახლე და პროექტები თავად მოსახლეობამ დანერგოს, თუ რა სურთ მათ, საჭიროა მოქალაქეთა აქტიურობა. ვიმედოვნებთ, რომ ქალაქ გორის მოსახლეობა უფრო მეტად ჩაერთვება ამ საერთო პასუხისმგებლობაში, მოწოდებით:**



მე ვგეგმავ ჩემი ქალაქის ბიუჯეტს!



## ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის „სამოქალაქო ბიუჯეტი“–ს ფორმირების წესი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები (ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, ან კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.), ანუ თავად დაგეგმონ პროექტები მომავალი წლის ბიუჯეტში და თვალყური ადევნონ მის განვითარებას.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 11 ადმინისტრაციული ერთეული დაჯგუფებულია და წარმოდგენილია 6 ზონად:

***I ზონა – ცენტრალური დასახლების 1–ლი და მე–2 უბანის;***
***II ზონა – კომბინატის დასახლების 1–ლი და მე–2 უბანის;***
***III ზონა – ჭალა-წყაროსუბნის დასახლება და სადგური–ელექტროფიკაციის დასახლების;***
***IV ზონა – წმინდაწყალის დასახლების 1–ლი და მე–2 (ვოლოგდის) უბანის;***
***V ზონა – ვერხვებისა და კვერნაქის დასახლების;***
***VI ზონა – ვერხვების დევნილთა ჩასახლების***

- მომდევნო წლისათვის ქალაქის ყველა, ექვსივე ზონისათვის „სამოქალაქო ბიუჯეტი“–ს პროექტების ერთიანი ღირებულება განისაზღვრება, საშუალოდ 900 000.00 (ცხრაასი ათასი) ლარის ოდენობის ფარგლებში. თითოელი ზონისათვის შესაბამისად საშუალოდ გამოიყოფა 150 000.00 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი. აღნიშნული თანხიდან, მოსახლეობის ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით შესაძლებელია განხორციელდეს ერთი, ან რამოდენიმე პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 150 000 ლარს. ბიუჯეტის საბოლოო განსაზღვრის ეტაპზე, წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია საპროექტო ინიციატივებმა განიცადოს კორექტირება, მისი ტექნიკური, იურიდიული და ფინანსური ხასიათიდან გამომდინარე;

- მოქალაქეთა კოორდინაციისა და ინფორმირებულობისათვის, ზონის მაცხოვრებლების მიერ წარმოდგენილი იქნება კოორდინატორი, რომელსაც აირჩევს ზონის საერთო წარმომადგენლობითი კრება, ანუ წარმომადგენლობითი საბჭო. წარმომადგენლობითი საბჭო უნდა შედგებოდეს ზონაში შემავალი დასახლებებიდან, უბნებიდან, ამავე დასახლებებში და უბნებში მცხოვრები მოქალაქეებისგან (მათი წარმომადგენლებისგან).

- წარმომადგენლობითი საბჭოს შეკრების უზრუნველყოფის საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში. რომლებიც აფიქსირებენ კრების მიმდინარეობას, ქმნიან დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ფოტომასალებისა და ოქმების სახით.

  - კოორდინატორი ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ურთიერთკოორდინაციით, განახორციელებს სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საქმიანობას.

- „წარმომადგენლობითი საბჭო" იქნება მუდმივმოქმედი ჯგუფი პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს საპროექტო ინიციატივების საბოლოო შერჩევა/ანალიზი. წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების ვარიანტებიდან, „წარმომადგენლობითი საბჭო"–ს მიერ კონსესუსის საფუძველზე (შეთანხმებისამებრ), შეირჩევა კონკრეტული საპროექტო ინიციატივა.

• „სამოქალაქო ბიუჯეტი"–ს პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქმედუნარიან 18 წლის ასაკს მიღწეულ სრულწლოვან მოქალაქეს;

• მოქალაქეს შეუძლია წარმოადგინოს ისეთი საპროექტო ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც შედის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თვითმმართველობის კომპეტენციაში, არ აღემატება კონკრეტული ზონისათვის გამოყოფილ თანხას და ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალური სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით, რომლიც უნდა გამოიგზავნოს მუნიციპალიტეტის ელ–ფოსტის მისამართზე info@gori.gov.ge, ან/და **samoqalaqo.gori@gmail.com,** ან შემოტანილ იქნას მერიის ადმინისტრაციის შენობაში, კანცელარიაში. სააპლიკაციო ფორმები ხელმისაწვდომი იქნება ლოკალურ კოორდინატორებთან, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე http://gori.gov.ge.

• პროექტების წარმოდგენის პერიოდია: **მიმდინარე წლის 15 ივნისიდან, 25 ივლისის ჩათვლით;**

**სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის წარმოების წესი:**

- **I ეტაპი:** სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე, პროექტის კოორდინატორი, რომელიც უშუალოდ ჩართულია პროცესის მიმდინარეობაში, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ხელშეწყობით, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად (მათივე ნება-სურვილის შემთხვევაში) ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ზონების მიხედვით, თითო ზონაში არანაკლებ ერთ შეხვედრას და აწვდის მოქალაქეებს ინფორმაციას სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის განხორციელების მიზნებზე და შესაძლებლობებზე;

- **II ეტაპი:** მოქალაქეები მუნიციპალიტეტში აგზავნიან სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში საპროექტო ინიციატივების განაცხადის ფორმებს. კოორდინატორი, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ხელშეწყობით, ზონის მაცხოვრებლებს, საჭიროებისამებრ, ეხმარება სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განცხადების სააპლიკაციო ფორმის შევსებაში, აკვალიანებს მოქალაქეებს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში განაცხადების წარდგენის თვალსაზრისით, როგორც დასკანერებული ვარიანტის ელექტრონული ფოსტით გადააგზავნის, ისე კანცელარიაში ჩაბარების მხრივ. კოორდინატორი აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას.
- **III ეტაპი:** განაცხადების მიღების პერიოდში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი ამოწმებს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განაცხადების ტექნიკურ სისწორეს და წარუდგენს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერს რეკომენდაციას საპროექტო ინიციატივების, ამავე მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"–ს უახლოეს სხდომაზე განსახილველად. **მიმდინარე წლის 25 ივლისიდან, 31 ივლისის ჩათვლით,** – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი აგზავნის საპროექტო ინიციატივებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"–ს უახლოეს სხდომაზე განსახილველად, სადაც იგი განიხილება ტექნიკური, ფინანსური სამართლებრივი, სამუშაოების განხორციელების ვადების და აქტუალობის გადამოწმების თვალსაზრისით. რეზულტატი ეცნობება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერს და თანდართული იქნება თხოვნა, რომ გადააწეროს უფლებამოსილ პირს პირველადი შედეგების საჯარო გამოქვეყნებისთვის. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი გადააწერს ამავე მუნიციპალიტეტის მერიის





უფლებამოსილ პირს, რომლის მეშვეობით პირველად შედეგებს გამოაქვეყნებს საჯაროდ, განათავსებს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე **მიმდინარე წლის 5 აგვისტომდე.** ზონების „წარმომადგენლობით საბჭოებზე" საბოლოოდ განხილვის მიზნით ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი მოწონებულ, გადამოწმებულ საპროექტო ინიციატივებს დაუბრუნებს განმცხადებლებს და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ხელშეწყობით აცნობებს კოორდინატორებს.

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო" წარმოდგენილ პროექტებს განიხილავს შემდეგი კრიტერიმების მიხედვით:

- სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განახორციელოს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივები);
- ტექნიკური ასპექტები (ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია საპროექტო ინიციატივების განხორციელება);
- ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების სავარაუდო ღირებულების შეფასება და შესაძლებლობების განსაზღვრა);
- პროექტის განხორციელების ვადები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განხორციელების სავარაუდო ვადების თავსებადობა შესაძლებლობების ფარგლებში);
- ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების აქტუალობა ზონების მაცხოვრებელთათვის რამდენად აქტუალურია?);

წარმოდგენილი პროექტების განხილვა დასრულდება და პირველადი შედეგები ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ **ვებ–გვერდზე განთავსდება მიმდინარე წლის 5 აგვისტომდე.**

- **IV ეტაპი: მიმდინარე წლის 5 აგვისტოდან, 20 აგვისტოს ჩათვლით,** – წარიმართება საორგანიზაციო სამუშაოები ქალაქის ზონებში „წარმომადგენლობითი საბჭო"–ების შესაკრებად, პირველადი მოწონებული საპროექტო ინიციატივების საბოლოო შერჩევისა და მათი შემდგომი წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახვის მოთხოვნის მიზნით.

- **V ეტაპი: მიმდინარე წლის 20 აგვისტოდან, 10 სექტემბრის ჩათვლით,** – პირველადი შედეგების შემდეგ „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო" ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ხელშეწყობით, ადგილებზე, ზონებში იწვევს „წარმომადგენლობითი საბჭო"–ებს, რომლებიც შემდგომი წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახვის მოთხოვნის მიზნით, კონსესუსის წესით ირჩევენ პრიორიტეტულ საპროექტო ინიციატივების განცხადებებს.

- **VI ეტაპი: მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან, 25 სექტემბრის ჩათვლით,** – გამარჯვებული საპროექტო ინიციატივების შესახებ, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ხელშეწყობით, კოორდინატორების მიერ, ეცნობება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც თავის მხრივ **მიმდინარე წლის 25 სექტემბრიდან, 5 ოქტომბრის ჩათვლით** ერთობლივად აცნობებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"-ს, გამარჯვებული პროექტების სტატისტიკური აღრიცხვისათვის, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, მომავალი წლის დასაგეგმ ბიუჯეტში გათვალისწინებისათვის და უფლებამოსილ პირს, გამარჯვებული პროექტების საჯარო გამოქვეყნებისათვის.



პროექტის მსვლელობა და მიმდინარეობა გამოიკვრება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე, მუდმივად გაშუქდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე: http://gori.gov.ge, სოციალური ქსელის, facebook – ის გვერდზე, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით სხვადასხვა შეხვედრებზე და ა.შ. ასევე ინფორმაცია გადაეცემათ კოორდინატორებს, რომლებიც ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ხელშეწყობით, მოახდენენ მოსახლეობის ინფორმირებას პროექტის მსვლელობის და შედეგების თაობაზე.

<u>ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერია</u>

## 2018 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების სქემა

1. **<u>2017 წლის 15 ივნისიდან, 25 ივლისის ჩათვლით</u>** – საპროექტო ინიციატივის შევსებული განაცხადის აპლიკაციის ფორმები (დასკანერებული სახით) მოქალაქის მიერ გაიგზავნება ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ელ–ფოსტაზე **contact@gori.gov.ge**, **samoqalaqo.gori@gmail.com** ან ჩააბარდება მერიის კანცელარიაში.

2. განაცხადების მიღების პერიოდში ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი პირი ამოწმებს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განაცხადების ტექნიკურ სისწორეს და წარუდგენს მერს რეკომენდაციას საპროექტო ინიციატივების, „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“–ს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

3. **<u>2017 წლის 25 ივლისიდან, 31 ივლისის ჩათვლით,</u>** – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი აგზავნის საპროექტო ინიციატივებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“–ს უახლოეს სხდომაზე განსახილველად, სადაც იგი განიხილება ტექნიკური, ფინანსური და იურიდიული გადამოწმების თვალსაზრისით. რეზულტატი ეცნობება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერს და თანდართული იქნება თხოვნა, რომ გადააწეროს ამავე მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილ პირს პირველადი შედეგების საჯარო გამოქვეყნებისთვის, ვებ-გვერდზე განსათავსებლად. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი, თავის მხრივ გადააწერს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილ პირს, რომლის მეშვეობით პირველად შედეგებს განათავსებს ოფიციალურ საიტზე **2017 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით** და მოწონებულ, გადამოწმებულ საპროექტო ინიციატივებს დაუბრუნებს განმცხადებლებს, ასევე, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ხელშეწყობით აცნობებს კოორდინატორებს, დასახლებების ერთეულების „წარმომადგენლობით საბჭოებზე“ საბოლოოდ განხილვის მიზნით.

4. **<u>2017 წლის 5 აგვისტოდან, 20 აგვისტოს ჩათვლით,</u>** – წარიმართება საორგანიზაციო სამუშაოები ქალაქის დასახლებების ერთეულებში „წარმომადგენლობითი საბჭო“–ების შესაკრებად, პირველადი მოწონებული საპროექტო ინიციატივების საბოლოო შერჩევისა და მათი 2018 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახვის მოთხოვნის მიზნით.

5. **2017 წლის 20 აგვისტოდან, 10 სექტემბრის ჩათვლით,** – პირველადი შედეგების შემდეგ „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“ ადგილებზე, დასახლებების ერთეულებში იწვევს „წარმომადგენლობითი საბჭო“–ებს, რომლებიც, კონსესუსის წესით ირჩევენ პრიორიტეტულ საპროექტო ინიციატივების განცხადებებს 2018 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახვის მოთხოვნის მიზნით.

6. **<u>2017 წლის 10 სექტემბრიდან, 25 სექტემბრის ჩათვლით,</u>** – გამარჯვებული საპროექტო ინიციატივების შესახებ, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ხელშეწყობით, კოორდინატორების მიერ, ეცნობება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც **<u>25 სექტემბრიდან, 5 ოქტომბრის ჩათვლით</u>** თავის მხრივ, ერთობლივად აცნობებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს, გამარჯვებული პროექტების სტატისტიკური აღრიცხვისათვის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, მომავალი წლის დასაგეგმ ბიუჯეტში გათვალისწინებისათვის და უფლებამოსილ პირს, გამარჯვებული პროექტების საიტზე ატვირთვისათვის.

7. გამარჯვებული პროექტი ხორციელდება ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ დებულებებით გაწერილი კომპეტენციის ფარგლებში. განხორციელების პერიოდში წარიმართება გამარჯვებული პროექტების სამოქალაქო მონიტორინგი.





სამოქალაქო ბიუჯეტი
საქართველოში

**2018 წლის ბიუჯეტში დასაგეგმი საპროექტო ინიციატივა**

**ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი**

**მე ვგეგმავ ჩემი ქალაქის ბიუჯეტს!**

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, მერიის გადაწყვეტილებით სულ, ქალაქის 11 ადმინისტრაციულ ერთეულს (დაჯგუფებული 6 ადმ. ერთეულად) ერთად გამოეყოფა 900 000 ლ (მთლიანად ბიუჯეტის 5%–საშუალოდ), თითოეულს, – 150 000 ლ.

✓ <u>აღნიშნეთ და შემოხაზეთ იმ საცხოვრებელი ზონის დასახელება, სადაც ფიქრობთ პროექტის განხორციელებას</u>

| | | |
|---|---|---|
| I ზონა - ცენტრი ☐ | III ზონა - ჭალა–სადგური ☐ | V ზონა - ვერხვები–კვერნაქი ☐ |
| II ზონა - კომბინატის დასახლება ☐ | IV ზონა - წმ. წყალის დასახლება ☐ | VI ზონა - ვერხვ. დევნილთა დასახლება ☐ |

---

**სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განაცხადის ფორმა**

<u>(განცხადების წარდგენის ვადებია 2017 წლის 15 ივნისიდან, 25 ივლისის ჩათვლით)</u>
<u>საპროექტო ინიციატივის ან/და ინიციატივების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 150 000 ლარს</u>

განმცხადებლის პირადი ინფორმაცია

სახელი________________ გვარი ______________________________ პ/ნ ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

მისამართი ____________________________________________________________

ტელეფონი ______________________________ ელ–ფოსტა: ______________________________

საპროექტო ინიციატივის დასახელება (პირობითად დარქმეული სათაური)

[ ]

პროექტის განხორციელების ადგილის მისამართი და საკადასტრო კოდი, ან მისი მახლობელი საკადასტრო კოდი სიზუსტისთვის. პროექტის სავარაუდო განზომილებითი რაოდენობის მითითებით (ფართობი, სიგრძე, სიგანე და ა.შ.)

[ ]

საპროექტო ინიციატივის მოკლე დახასიათება – *(აღწერეთ, თუ რა პროექტის განხორციელება გსურთ, რა უნდა აშენდეს, მოეწყოს, ან რეაბილიტირებულ იქნეს, ან გარემონტდეს და რა პრობლემები აღმოიფხვრება ამით)*

[ ]

პროექტის მომხმარებელთა (ბენეფიციართა) სავარაუდო რაოდენობა და კატეგორია მოკლედ

*(აღნიშნეთ, პროექტი განხორციელების შემთხვევაში, ვის მოემსახურება და სავარაუდოდ რა რაოდენობას)*

საპროექტო ინიციატივის განსახორციელებლად მოთხოვნილი სავარაუდო თანხა:

სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ დაზუსტებული სავარაუდო თანხა:

სამუშაოების ჩატარების სავარაუდო დრო *(კალენდარული დღე, ან თვე)* ______________________________

იმ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მხარდამჭერი მოქალაქეების ხელმოწერა, სადაც განხორიელდება პროექტი (მინიმუმ 10 ხელმომწერი)

| სახელი გვარი | მისამართი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

განმცხადებლის დამატებითი აზრი, ან შენიშვნა:

საპროექტო ინიციატივის ავტორის ხელმოწერა: ______________________

*თარიღი: 2017 წლის* _____ ______________

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამის ფარგლებში
პროგრამა "დემოკრატიის ხელშეწყობა"

Solidarity Fund PL

პოლონეთის დახმარება



# დანართი III

განაცხადის ნომერი.....................................

სამოქალაქო ბიუჯეტი
საქართველოში

პროექტი განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის

**ბორჯომის მუნიციპალიტეტი**

**მე ვგეგმავ ჩემი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს**

✓ მიუთითეთ/შემოხაზეთ ერთეულის დასახელება

1ქ.ბორჯომი და ლიკანი ☐ 3. ბაკურიანის ზონა ☐ 5. ახალდაბას ზონა ☐

2. წაღვერის ზონა ☐ 4. ტაბაწყურის ზონა ☐ 6. დვირის ზონა ☐

Название села: ______________________________

თქვენ გაქვთ შესაძლებლობა წარმოადგინოთ და აღწეროთ 1 პროექტი გამომდინარე იმ პრიორიტეტებიდან რომელიც გამოვლენილ იქნა მოსახლეობის გამოკითხვი დროს, და 3 პროექტი სხვა სფეროდან რომლის ბიუჯეტიც არ აღემატება ........................... ლარს

ამორჩეული პროექტის პრიორეიტეტის კონკრეტული დასახელება ______________________________

**პროექტის აღწერა**

(პროექტის მიღების ბოლო ვადა 2017 წლის 31 ივლისი)

პროექტის წარმდგენი პირის პერსონალური ინფორმაცია:

სახელი________________ გვარი __________________________ პ/ნ

მისამართი ______________________________________________

ტელეფონი ____________________________ ელ. ფოსტა: ____________________________

საინიციატივო პროექტის დასახელება

პროექტის რეალიზაციის მისამართი, ნაკვეთის საკადასტრო კოდი (ახლომდებარე ნაკვეთის კოდი); პროექტის პარამეტრები, (ფართი, სიგრძე, სიგანე, მანძილი, და ა.შ.) კოორდინატები რუკაზე

საინიციატივო პროექტის აღწერა - აღწერეთ როგორი პროექტის განხორციელება გსურთ, რომ იყოს (გარემონტებული, აშენებული, შეკეთებული) რისგან უნდა შედგეს ის და რა პრობლემებს

პროექტის ბენეფიციარების დაახლოებითი რაოდენობა და კატეგორია, (რა ასაკის ადამიანებისთვის არის გათვლილი და რამდენი ადამიანი მიიღებს სარგებელს)

საინიციატივო პროექტის დაახლოებითი ღირებულება: ____

გამგეობის თანამშრომლის დაზუსტებული პროექტის ღირებულება: ____

პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო ვადა(კალენდარული თვე) ________________

პროექტის ავტორების ხელმოწერა:

________________

________________

________________

________________

თარიღი: ___ ____________ 2017 წ.

პროექტი მიიღო:
კოორდინატორის ხელმოწერა:

თარიღი: ___ ____________ 2017 წ.





სამოქალაქო ბიუჯეტი
საქართველოში

### პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ხელმოწერა

*(მინიმუმ 15 ხელმოწერა)*

| სახელი, გვარი | მისამართი და ტელ ნომერი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

# დანართი IV

## პროექტის შემოწმების ბარათი

პროექტის დასახელება

| |
|---|
| |

ავტორი(ები)

| |
|---|
| |

პროექტის ადგილმდებარეობა (ზონა, სოფელი, დაბა))

| |
|---|
| |

ვინ შეამოწმა:

..................................................................

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
თარიღი და ბეჭედი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | პროექტი თვითმმართველობის კომპეტენციასა და ამოცანებშია | ☐ კი | ☐ არა |
| | | | |
| შენიშვნები: | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2. | პროექტი მოსახლეობის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებშია. რომელში?<br>☐<br>☐ | ☐ კი | ☐ არა ☐ არ ეხება |
| | | | |
| შენიშვნები: | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3. | შესაბამება კანონმდებლობას და მიღებულ სტრატეგიას | ☐ კი | ☐ არა |
| | | | |
| შენიშვნები: | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. | პროექტი მდებარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე | ☐ კი | ☐ არა |
| | | | |
| შენიშვნები: | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5. | პროექტის განხორციელების ტექნიკური ან ტექნოლოგიური მიზანშეწონილობა | ☐ კი ☐ არა | ☐ არ ეხება |
| | | | |
| შენიშვნები: | | | |





| | | |
|---|---|---|
| 6. | პროექტის ღირებულების შეფასება | ☐ მიღებულია შენიშვნების გარეშე |
| | | ☐ მიღებულია შემდეგი ცვლილებებით: (ცვლილებების მითითება) |
| | | |
| შენიშვნები: | | |

| | |
|---|---|
| 8. | პროექტის შემოწმებისას სხვა მნიშვნელოვანი შენიშვნები |
| | |
| | |

| |
|---|
| დამატებითი ინფორმაცია |
| |
| |

<u>დაუკავშირდით ავტორებს</u>
(ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტი შეიცავს ფორმალური ხარვეზები)

| | | |
|---|---|---|
| თარიღი | | |
| | | |
| კონტაქტის ტიპი | ☐ შეხვედრა | ☐ e-mail |
| | ☐ ტელეფონი | ☐ სხვა |
| შენიშვნები და მოსახლეობასთან კონსულტაციების შედეგები | | |

პროექტი განხორციელება შესაძლებელია და ის შედის

☐ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ☐ პრიორიტეტების პროგრამაში

პროექტის განხორციელების თარიღი

.............................................

პროექტის განხორციელება შეუძლებელია.
განმარტება

.............................................

................................................................ (შემმოწმებელი პირის ხელმოწერა, თარიღი და ბეჭედი)

................................................................ (პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და ბეჭედი)

## სასარგებლო ბმული

ვებგვერდი სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ ქართულ ენაზე
www.participatory.ge
სამოქალაქო ბიუჯეტის და პრიორიტეტების ელექტრონული სისტემა
www.gfa.ge

## სასარგებლო მასალები ინგლისურ ენაზე

www.participatorybudgeting.org
www.pbnetwork.org.uk
www.pbnyc.org

## სად მოვიძიოდ დამატებითი ინფორმაცია ან დახმარება?

თუ საჭიროა დამატებითი ინფორმაცია ან დახმარება ბიუჯეტის პროცესში, მათ შორის ტრენინგი, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ
**academy.participation@gmail.com**

საქართველოს მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო ბიუჯეტის პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება და გამოცდილების გაზიარება შეგიძლიათ

**იაგო ციკლაური** *(გორის მუნიციპალიტეტი)*
iago_tsiklauri@mail.ru

**ნინო გოლოშვილი** *(გორის მუნიციპალიტეტი)*
ninogoloshvili@gmail.com

**ლევან ბიწაძე** *(საჩხერეს მუნიციპალიტეტი)*
levanibic99@gmail.com

**თეონა ტყემალაძე** *(მარნეულის მუნიციპალიტეტი)*
teona.tkemaladze@gmail.com

**დავიდ ნიკურაძე** *(მარნეულის მუნიციპალიტეტი)*
david.nikuradze@gmail.com

**მიშა ასლიკიან** *(მარნეულის მუნიციპალიტ*
m.aslikyan@gmail.com



**მუნიციპალიტეტების „სამოქალაქო ბიუჯეტის“ სახელმძღვანელო შედგენილია** «სამოქალაქო ბიუჯეტების განვითარება – როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების ელემენტი» პროექტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა საქართველოში 2017 წელს

შემსრულებლები:

Fundacja Inna Przestrzeń
www.innaprzestrzen.pl
ფონდი „სხვა სივრცე“

ONE CAUCASUS
www.onecaucasus.org
ა(ა)იპ „ერთიანი კავკასია

Fundacja Solidarności Międzynarodowej
www.solidarityfund.pl
„საერთაშორისო სოლიდარობის ფონდი“

მწვანე კავკასია Green Caucasus

GFA

SCIRS The Caucasus Institute For Regional Security

Solidarity Fund PL

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამის ფარგლებში პროგრამა “დემოკრატიის ხელშეწყობა”

პოლონეთის დახმარება

ავტორი
ურშულა მაევსკა

თარგმნა და რედაქტირება
ლადო მეხტიევი

დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა
გოგა დავთიანი 2Ou.ge

www.participatory.ge